საქონლის ტექნიკური მახასიათებლები:

1) დამჭიმ-დამამუხრუჭებელი დანადგარი რევერსის ფუნქციით;
2) გამწევი ძალა 1 ან 2 სადენზე. კაბესტანების დამოუკიდებელი მართვის ფუნქცია
3) ძრავის სიმძლავრე - არანაკლებ 175 ცხ.ძ
4) დანადგარი ძრავის ტიპი უნდა იყოს staige III(დიზელი).
5) ძრავის გაგრილების სისტემა - წყალზე
6) მაქსიმალური გამწევი ძალა 2 სადენზე არანაკლებ 70kn.
7) მაქსიმალური გამწევი ძალა 1 სადენზე არანაკლებ 140kn.
8) მაქსიმალური სიჩქარე არანაკლებ 5 კმ/სთ.
9) მაქსიმალური სიჩქარე მაქსიმალურ დატვირთვაზე არანაკლებ 2 კმ/სთ.
10) მაქსიმალური უკუძალა 2 გამტარისთვის არანაკლებ 70kn.
11) მაქსიმალური უკუძალა 1 გამტარისთვის არანაკლებ 140kn.
12) გამტარის მაქსიმალური დიამეტრი არანაკლებ 51მმ.
13) თოკის მაქსიმალური დიამეტრი არანაკლებ 25მმ.
14) მთავარი ბორბლის დიამეტრი არანაკლებ 1800მმ.
15) წონა - არაუმეტეს 11500კგ.
16) არანაკლებ 12 ღრმული.
17) ციფრული HMI ინტეგრირებული:
    •ფერადი გრაფიკული მონიტორით - არანაკლებ 7´(ინჩი);
    •ინგლისურ ან/და რუსული მენიუთი;
    •რადიო დისტანციური კონტროლი;
    •დიაგნოსტირება და გაუმართაობის მართვა GPS-ით;
18) სრულად ინტეგრირებული, ჩამკეტიანი, ხმაგაუმტარი ხუფები;
19) ზეთის ავტომატური გაგრილების მართვა;
20) ბაგირის დამჭიმავით;
21) მექანიკური გადაცემა ერთი კბილანით, რომელიც ერთი და იგივე წყვილის ორ მთავარ ბორბალს ატრიალებს;
22) ტექნიკური უზრუნველყოფის ინტერვალის გრაფიკი;
23) თვითდიაგნოსტიკა მანქანა-დანადგარის ჩართვისას;
24) განგაშის სიგნალის ჩამწერი სისტემა;
25) დიზელის ძრავის ავტომატური მართვა;
26) რადიო დისტანციური მართვა მონიტორით, რომელიც აჩვენებს სამუშაო პარამეტრებს 4 სპეციალურ ეკრანზე და განგაშის სიგნალის მართვის ინსტრუმენტულ დაფაზე.
27) ჰიდრავლიკური წრედი შემკრები დაფით პროგრამირების სისტემისთვის.
28) ჰიდრავლიკური წრედი შემკრები დაფით დამხმარე წრედებისთვის.
29) REM სისტემა გეოზონირებით, მანქანა დანადგარების ყოველდღიური კონტროლით, პროაქტიული ტექნიკური უზრუნველყოფის მართვით, სამუშაო პარამეტრების ჩაწერით.
30) მყარი ღერძი (გამწევ ა/მანქანაზე ჩასაბმელი);
31) უარყოფითი თვითმოქმედი ჰიდრავლიკური მუხრუჭი;
32) დამიწების მაკავშირებელი პუნქტი;
33) ჰიდრავლიკური წინა სტაბილიზატორები;
34) ელექტრონაკრები 2 გრაგნილის სტენდის ან 2 გრაგნილის დანადგარის კონროლისთვის.
35) ACCC ULS LEIPZIG სადენის ტიპის გაჭიმვის შესაძლებლობით;
36) სსე-ში არსებული Tesmec-ის ფირმის მიერ წარმოებული ARS606 და ARS510 ტიპის დამჭიმ დანადგარებთან სინქრონული მუშაობის შესაძლებლობა;
37) დამჭიმ-დამამუხრუჭებელი დანადგარზე სსე-ში არსებული Tesmec-ის ფირმის მიერ წარმოებული RVA001 ტიპის სადენის/გვარლის/OPGW კაბელის დასახვევ დანადგართან სინქრონული მუშაობის შესაძლებლობა;

მოთხოვნები პრეტენდენტისადმი:

ა) პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს:

1. პრეტენდენტი უნდა იყოს პროდუქციის მწარმოებელი ან მისი ოფიციალური წარმომადგენელი. (სატენდერო წინადადებასთან ერთად, წარმოსადგენია მწარმოებლისგან გაცემული დარეგისტრირებული, შტამპით, ბეჭდით და ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით და შტამპით დამოწმებული დოკუმენტი);
2. წარმოსადგენია სატენდერო წინადადებასთან ერთად:
   - მწარმოებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს დამამუხრუჭებელი/რევერსული მოწყობილობების წარმოების არანაკლებ ბოლო 25 წლის გამოცდილება და შესაბამისი ვებ საიტი. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს დანადგარის მწარმოებლის ქვეყნის სამრეწველო პალატის მიერ გაცემული სათანადოდ დარეგისტრირებული დოკუმენტი.
   - ბოლო სამი წლის განმავლობაში, შემკვეთზე მიწოდებული უნდა ქონდეს თუნდაც ერთი (დამამუხრუჭებელი/რევერსული) დანადგარი, არანაკლებ 1800მმ კაბესტანით და 140 კნ დამჭიმი ძალით (წარმოსადგენია ხელშეკრულებ(ებ)ის ბეჭდიანი ასლები, ასლებში უნდა ჩანდეს გაყიდული დამამუხრუჭებელი/რევერსული დანადგარის მოდელი და სერიული ნომერი ტექ მახასიათებლების ჩვენებით. პროდუქციის ევროპულ CE ან EC სტანდარტთან შესაბამისობის სერთიფიკატის წარმოდგენით (პროდუქცია უნდა იძებნებოდეს მწარმოებლის კატალოგში, საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს ვალდებულებას მოითხოვოს ხელშეკრულების დედნები ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
   - ვინაიდან პრეტენდენტი კონკრეტულ მოსაწოდებელ საქონელზე, მის ტესტირებამდე ვერ წარმოადგენს ტესტირების ოქმებს, პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებულის იდენტურ საქონელზე ჩატარებული მწარმოებელი ქარხნის ტესტირების რეპორტები.

ბ) პროდუქციის მოწოდებამდე (ტესტირების შემდგომ) წარმოსადგენია პროდუქციის ევროპული სტანდარტის **CE/EC** შესაბამისობის სერთიფიკატი, გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ(ასლი-საჭიროების შემთხვევაში მოითხოვება დედნები ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები)

გ) მიმწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ (პროდუქციის მოწოდებამდე), შემსყიდველთან უნდა წარმოადგინოს დანადგარზე ჩატარებული ტესტირებების შედეგები (რუსულ/ ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქართულ ენაზე ნათარგმნი ასლები).

ასევე, შემსყიდველისგან წერილობითი მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, ვალდებულია წარმოადგინოს:

- შესასყიდი საქონლის, ხელშეკრულების ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დასკვნა საყველთაოდ აღიარებული საექსპერტო ორგანიზაციებისა თუ ლაბორატორიებიდან (როგორიცაა SGS Group, Bureau Veritas , Intertek Group , TÜV, KEMA Laboratories)

დ) პრეტენდენტი, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად), ვალდებულია ჩაატაროს ტრენინგი 4 პერსონალზე(როგორც თეორიული, ასევე საველე პირობებში) დანადგარის მუშაობა-ექსპლუატაციის წესებზე (ქართულ ან რუსულ ენაზე) და მიღებულ ცოდნაზე, გასცეს შესაბამისი დოკუმენტი. ტრენინგის ღირებულება გათვალისწინებული უნდა იყოს მოწყობილობის ღირებულებაში.

ე) დამჭიმ-დამამუხრუჭებელი დანადგარის სამუშაო პოლიგონზე(საველე პირობებში) მონტაჟს, მის გამაგრებას, ექსპლუატაციაში შესაყვანად მომზადებას თავისი დანადგარებით და სპეციალისტებით განახორციელებს სსე-ს პერსონალი, მწარმოებელი კომპანიის (ან მის მიერ უფლებამოსილი) სპეციალისტების ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით (შეფმონტაჟი).

ვ) სამუშაოების(შეფმონტაჟის) ჩატარების დროს და ადგილს, შემსყიდველი ერთი თვით ადრე, წინასწარ ატყობინებს მომწოდებელს.

ზ) მომწოდებელი, მომსახურების დაწყებამდე ორი კვირით ადრე, სსე-ს წარუდგენს მომსახურების გაწევის პროგრამას, გრაფიკს და საჭირო ინვენტარისა და დანადგარების ჩამონათვალს.

თ) დამჭიმ-დამამუხრუჭებელი დანადგარის ექსპლუატაციაში შესაყვანად საჭირო ინვენტარისა და დანადგარების მოწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

ი) დამჭიმ-დამამუხრუჭებელი დანადგარის შეფმონტაჟის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებისას, მაგრამ არაუმეტეს 5 კალენდარული დღე.

მოთხოვნები პროდუქციაზე (წარმოსადგენი სატენდერო წინადადებასთან ერთად):

1. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებაში, სატენდერო დოკუმენტაციის ,,ფასების ცხრილის" შესაბამის სვეტში უნდა მიუთითოს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი კომპანია, და საქონლის მოდელი;
2. შემოთავაზებული დანადგარის მოდელი შეტანილი უნდა იყოს ქარხანა-დამამზადებლის კატალოგში და იძებნებოდეს მწარმოებლის ვებ გვერდზე.
3. შემოთავაზებული საქონლის ქარხანა-დამამზადებლის მიერ გაცემული დანადგარის ექსპლუატაციის წესები და პირობები (რუსულ და ინგლისურ ენოვანი, დანადგარის დეტალების სქემატური ნახაზებით და შესაბამისი აღნიშვნებით(ნუმერაციით)).
4. წარმოების, სადაც მზადდება პროდუქცია, და მისი მენეჯმეტის ISO9001,45001,14001 შესაბამისობის სერთიფიკატები, გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ(ასლი-საჭიროების შემთხვევაში მოითხოვება დედნები ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები).
5. ,,საქონლის ტექნიკური მახასიათებლების“ #36 და #37 პუნქტების მოთხოვნებზე, წარმოსადგენია ამ პუნქტებში მითითებული დანადგარების მწარმოებლის წერილი შემოთავაზებულთან სინქრონული მუშაობის შესაძლებლობაზე.

საგარანტიო პირობები:

1. პრეტენდენტმა სატენდერო წინდადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საქონლის კონკრეტული საგარანტიო ვადა და საგარანტიო პირობები, გაცემული უშუალოდ მწარმოებლის მიერ. (მწარმოებლის გარანტია)

საქონლის საგარანტიო ვადა(გაცემული უშუალოდ მწარმოებლის მიერ) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 (სამ) წელს.შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, გარანტია პროდუქციაზე გაცემული უნდა იყოს უშუალოდ ქარხანა-დამამზადებლის მიერ. საგარანტიო პირობებთან ერთად წარმოსადგენია შემოთავაზებული პროდუქციის ქარხანა-დამამზადებლის მიერ გაცემული დანადგარის დოკუმენტები(პასპორტი, დანადგარის სერიული ნომერის მითითებით, ექსპლუატაციის წესები და პირობები, (რუსულ და ინგლისურ ენოვანი, დანადგარის დეტალების სქემატური ნახაზებით და შესაბამისი აღნიშვნებით(ნუმერაციით)).

2. საგარანტიო პირობების დადგომისას, შესასყიდი პროდუქციის მომსახურებას, შეკეთება/შეცვლას მომწოდებელი ახორციელებს საკუთარი ხარჯებით.

პროდუქციის შეკეთება/შეცვლის პერიოდი, შესაბამისი წერილობითი მიმართვიდან, არ უნდა აღემატებოდეს:

ა) მომსახურება, შეკეთება -30 დღეს;

ბ) პროდუქციის შეცვლა - მოწოდება -არაუმეტეს **120** კალენდარული დღე;

- პროდუქციის მოწოდების ვადა:-არაუმეტეს **120** კალენდარული დღე;

მიწოდების ადგილი: ქ.ქუთაისი ავტომშენებლის 2 (სსე-ს დასავლეთის ქსელის ოფისი)

სხვა მოთხოვნა:

ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი;ქარხნული კომპლექტაციით.